

1 ვარიანტი  
 ერთეული - 1000 ფრთა  
 სუქების პერიოდი - 60 დღე  
 ფრინველის რაოდენობა - 925 ფრთა

ცვლადი დანახარჯები  
 საკვების ღირებულება:  
 60 დღეზე 1-ფრთაზე საჭიროა 5,3 კგ-ი საკვები  
 შემდეგი პროპორციით:  
 1. ხორბალი 0,7კგ. 60 თეთრი = 42 თეთრი  
 2. სიმინდი 1,9კგ. 60 თეთრი = 1.14 თეთრი  
 3. ქერი 1,4კგ. 90 თეთრი = 1.26 თეთრი  
 4. პრემიქსი 1,0. 2,10 თეთრი = 2.10 თეთრი  
 5. მარილი-ცარცი 0,3. 0,01 თეთრი = 0,03 თეთრი  
 სულ: 4,95 თეთრი

წიწილების შეტენა 1000. 1,5-1500 ლარი  
 სხვა დანახარჯები: მომვლელის ხელფასი,  
 ვეტ. მომსახურება, წყალი, ელ. ენერჯია, სატრანსპორტო  
 ხარჯები, რემონტი 600 ლარი.  
 დანახარჯები სულ 1000 ფრთაზე 6678 ლარი  
 რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა  
 9250 ლარი.  
 მარეინალური მოგება 2572 ლარი



შე-2 ვარიანტი  
 (ბოლო პერიოდში გამოყენებული მეთოდი)  
 ერთეული 1000 ფრთა  
 სუქების პერიოდი 42 დღე  
 ფრინველის რაოდენობა 925  
 ცვლადი დანახარჯები:  
 1. საკვების დანახარჯები:  
 სიმინდი 2,8კგ. პრემიქსი 1,2კგ  
 სულ საკვებზე დანახარჯები 4403 ლარი  
 2. წიწილის შეტენა 1500 ლარი  
 3. ხელფასი, ვეტ. მომსახურება, წყალი,  
 ელ. ენერჯია - 600 ლარი  
 სულ დანახარჯები 6503 ლარი  
 რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა  
 9250 ლარი  
 მარეინალური მოგება 2747 ლარი



საინფორმაციო-კონსულტანტები

ოთარ ძოგალია - აგრონომი	599 54 63 62
ნუგზარ ოძროპირიძე - აგრონომი	599 89 89 50
გიორგი კალაღაძე - ვეტერინარი	599 54 69 84
შალვა ანანიძე - ვეტერინარი	599 89 89 61
მედიონა კილაძე - ზოოინჟინერი	599 89 89 60
ლივანი ჩიქოვანი - ზოოინჟინერი	599 74 37 43

ატარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
 აქცია აგროსერვის ცენტრი



## საინფორმაციო გუბერნი



## ბროილერი

ბათუმი  
 2014

მებორცული ქათმის (ბროილერის)  
მოვლა-შენახვა  
მარკინალური მოგების მოკლე კომენტარი

ბროილერის წიწილას ზრდა-განვითარებისათვის დიდი პოტენციალი გააჩნია, რის საფუძველზეც 36-დღის ასაკში 1.6-1.9 კგ-ს აღწევს. ამიტომ გამოზრდა დაკვლამდე არ უნდა აღმატებოდეს 60 დღეს, ვინაიდან მატულობს ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯები.

ბროილერის წიწილას ზრდა-განვითარების ყველაზე მაღალი ზრდის ენერჯია აქვს. პირველი 2-თვის განმავლობაში, ბროილერი მიღებულია სპეციალიზირებული მებორცული კიშის შეჯვარების გზით. ბროილერის ბინაში გამოზრდის დროს განათების ხანგრძლივობა დღე-ღამეში უნდა იყოს არანაკლებ 17-საათისა.

წიწილი ბროილერებისათვის დასმის სიმჭიდროვე უნდა იყოს 10-15 ფრთა 1მ<sup>2</sup>-ზე, ხოლო კარგი ვენტილაციის პირობებში 14-18 ფრთა.

ბროილერის წიწილამ 2-თვის ასაკში რომ მიაღწიოს დასაკვავ წონას (1.5-2კგ) გადამწვევით მნიშვნელობა ენიჭება სრულფასოვან კვებას.

ბროილერის წიწილი პირველ დღეებში შეიძლება კვებოთ მოხარბული კვრებით, წმინდა დაღერლი მარცვლოთ. 20 დღის ასაკიდან შეიძლება შეივცალოს მოხარბული კარტოფილით და შეურით. მარცვლეულის ღერძილი ცილოვან საკვებთან ერთად, კარგია მიეცეს მოხდილი რძე, დო, შრავი, ხაჭო. მეცნარეული საკვებიდან ცილებით მდიდარია სოიო, მზესუმზირას და არახისის კოპრონი და შრავი. შეიძლება მიეცეთ სხვა საკვებთან შერევით დაკვიპილი მჭვანე მასა 6-გრამის ოდენობით, ზამთარში კი ბალახის ფქვილი, ქერის ღერძილი.

ვიტამინებით მდიდარ საკვებს წარმოადგენს სტაფილი რომელიც ნარევი შეიძლება მიეცეთ 5-7დღის ასაკიდან 3-5გრამი. 5-დღიდან კი მიეცეს A-B ვიტამინი. წიწილისათვის აუცილებელია მინერალური ნივთიერებები: ცარცი, ძვლის

ფქვილი რომელიც 5-დღის ასაკიდან უნდა მიეცეს. ასევე უნდა მიეცეს მეორე ზომის(2-5 მილიმეტრის) კნკები. ეს ხელს უწყობს კუჭის კუნთების მოქმედებას და 3-ჯერ ზრდის საკვების, განსაკუთრებით მარცვლეულის ათვისებას.

100 ფრთაზე კვირაში ერთხელ საკვებში უნდა შეურით 200-500გრამი კენკი მაგრამ ქვიშა არ არის რეკომენდირებული. კუჭნაწლავის დაავადების თავიდან აცილების მიზნით კვირაში 3-4ჯერ კალიუმის პერმანგანატის (მარგანოვოცოვის ხსნარით) დაწყურება. ბროილერის კვებისას მიღებულია ნებაზე კვება.

ბროილერის კვება

ბროილერის ასაკი	საკვების რაოდენობა დღე-ღამეში გრ.
1-5	15
6-10	20
11-20	45
21-30	65
31-40	85
41-57	100
57-60	115



აღნიშნული კვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუქების პირველი 4 - კვირის განმავლობაში. ამ პირობების დაცვით 1 თვეში წიწილის წონამ შეიძლება მიადწიოს 700-900 გრამს. ბროილერის სუქების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტემპერატურულ რეჟიმს. 7-დღის ასაკამდე ბინაში ტემპერატურა უნდა იყოს +26 +28 ერთი თვის ასაკში კი +19 +20C.

ბროილერის წიწილების დაავადების პროფილაქტიკა

ჭირი - საშიში ვირუსული დაავადებაა, მისი პროფილაქტიკა ხდება სავალდებულო აერების საშუალებით, კერძოთვაქციით.

პულვორიზი - დაავადებული წიწილი იწყებს ჯდომას, თვალები აქვს ნახევრად დახუჭული, გამწვანებული სუნთქვა. განავალი თეთრი მძაფრი

სუნით. დაავადების გამოწვევა: სიმჭიდროვე, ნესტი, დაუბალუნებელი საკვებით კვება, განსაკუთრებით ვიტამინებით დეფიციტი. სამკურნალოდ გამოიყენება: ტეტრაციკლინი, ლევომიცეტინი, ფურადილინი, კანამიფინი, სულფადიმიზინი.

პროფილაქტიკა - წიწილი უნდა იზრდებოდეს იზოლირებულად, მკაცრად უნდა დაეიცვათ ჰიგიენა, ჩატარდეს დეზინფექცია 20% კირის ხსნარით, უნდა მიეცეთ მარგანოვოცოვა, საკვები გავამდიდროთ ვიტამინებით.

სალმონელოზი - წიწილები ავადდებიან 1-დან 3-4 თვის ასაკამდე. დაავადების დროს წიწილები აღარ მოძრაობენ, ეწყებათ კუჭის აშილიოზა მძაფრი სუნით.

მკურნალობა-ტეტრაციკლინი საკვებში მიეცემა, 10%-იანი ენროფლოქსი წყალთან ერთად მიეცება 1გრ - 2ლიტრ წყალში. ოქსიტეტრაციკლინი ეძლევათ 20 დღემდე ასაკის წიწილებს 1ფრთაზე 2-3 მილიგრამი. მეპაგორი 1კგ - 5ლიტრ წყალში.

პროფილაქტიკა - დაავადებული წიწილები გამოვყოთ ცალკე, ჩატარდეს დესინფექცია, ინვენტარი და საგნები გაირეცხოს ცხელი წყლით, ვებრძოლოთ სისტემატიურად მღრღნელებს.

კოქციდიოზი - ავადდება მოზარდი 2-6 კვირის ასაკში. წიწილებს უჭკეითებდად მადა, ნაკლებად მოძრაობენ, ეშლებათ კუჭი, განავალი მჭვანე ან წითელი ფერისაა სწრაფად იკლებენ წონაში.

მკურნალობა - ამპრელიუმი 20%-იანი 1გრ - 1.5ლიტრ წყალში 5-7 დღის განმავლობაში. კოქციდიოციტი-2.5გრ 0.5ლიტრ წყალში.

რიცკოვინი 10კგ საკვებში 5 გრამი, ერთ დღიან სუქების მიუღ კერიოდში.

პროფილაქტიკა: მსხვილი ფრინველისაგან იზოლიცია. ბინის ყოველდღიური დასუფთავება, საკვებურებისა და საწყურებლების სისტემატიურად ცხელი წყლით გარეცხვა, სრულფასოვანი საკვებითა და ვიტამინებით კვება.

მებორცული ქათმის (ბროილერის) მარკინალური მოგების ანგარიში